პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 149 (11455) | სამშაბათი, 30 ივნისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

უპატაკეგენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს

ბათუმი, 27 ივნისი. (საქდესი). ასრულებდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, აჭარის ახს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა ვადამდე, პლენუმის გახსნის დღეს გაანაღდეს ნახევარი წლის გეგმა.

რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა ბევრი მანქანა და მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები, ავეჯი, აჭარის ჩაის მრეწველობის საწარმოებმა გადაამუშავეს 11.428 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1.870 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამავე ხნის განმავლობაში.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა შორის არიან ნავთობგადასამუშავებელი და მანქანათსაშენებელი ქარხნები, ბათუმის ავეჯისა და ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკები და სხვა საწარმოები.

ამბროლაურის რკინიგზის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ტვირთნიდვის ნახევარი წლის დავალება. დავალების გადაჭარბებით გაგზავნილია ათი ათასობით ტონა მანგანუმი, ნავთობი, ცემენტი, ქვანახშირი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთი.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გზის თბილისის განყოფილების მემანქანეებმა. მათ მიერ წაყვანილ შემადგენლობათა 70 პროცენტზე მეტი ადრე ნიშნა იყო. (საქდესი).

ტყიბული, 29 ივნისი. (საქდესი). გელათის შახტის კოლექტივმა ადრეზე 9 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის გეგმა. ნახევარ-ნიბის ამოღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1[illegible] გადიდდა. გელათელებმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 300 ათას მანეთზე მეტი.

ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შეასრულა აგრეთვე ტყიბულის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა. მან დავალების დამატებით გამოუშვა 300 ათასი მანეთის პროდუქცია.

გურჯაანი, 29 ივნისი. (საქდესი). გურჯაანის ყველის და ერბო-კარაქის ქარხნის კოლექტივმა ვადამდე, 25 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება. ერბო-კარაქის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა გაანაღდებულია 198 პროცენტით, რძის შემოზიდვისა — 174 პროცენტით. ქარხნის ყველის წარმოებისა და რძის რეალიზაციის წლიური პროგრამა საწარმომ უკვე შეასრულა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1959 წლის 29 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 24 ივნისს გაიხსნა, დაამთავრა მუშაობა.

სხდომაზე კამათში დღის წესრიგში დასმულ მოხსენებათა გამო, გამოვიდა ამხანაგი ი. ი. კისელიოვი (გორკის საავტომობილო ქარხნის დირექტორი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

კამათში სულ მონაწილეობა მიიღო 52 კაცმა.

პლენუმმა ერთხმად მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი განხილულ საკითხთა გამო.

ერთხმად მიღებულია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვა მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 26 ივნისის საღამოს სხდომა დაიწყო აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ი. დ. მუსტაფაევის** გამოსვლით.

აზერბაიჯანში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების პერიოდი, თქვა მან, აღინიშნა დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების ამუშავებით, მათ შორის არის მილსადენი დგანი „250“ და სუმგაითის ალუმინის ქარხნის მესამე კორპუსი. მზადდება ასამუშავებლად დიდი სალტის ქარხანა ბაქოში, ალუმინის ქარხნის მეოთხე კორპუსი და ბაქოს კამეოლის კომბინატი.

ამხ. მუსტაფაევმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ყველა პირობა: არის მაღალხარისხოვანი ნედლეული, მძლავრი მშენებელი ორგანიზაციები, კარგი კადრები, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები. მაგრამ მშენებლობის ტემპს აფერხებს მოწყობილობისა და საპროექტო დოკუმენტაციის დროზე მიუღებლობა. მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, ამბობს ორატორი, საჭიროა დამყარდეს მტკიცე სახელმწიფო წესრიგი.

ეხება რა გზისა და ნავთობის მრეწველობის განვითარებას, ამხ. მუსტაფაევი ამბობს, რომ რესპუბლიკაში განხორციელებული გეოლოგიურ-საძიებელმა სამუშაოებმა გამოავლინეს მაღალხარისხოვანი ნავთობის უდიდესი მარაგი. ნავთობის და გაზის სულ უფრო მდიდარი ახალი საბადოები აღმოვაჩინეთ დიდ სიღრმეზე. მათი მოპოვების შემდგომი გადიდება განუხრელად დაკავშირებულია ღრმა ჭაბურღილების ბურღვასთან. ასეთი ბურღვის ბევრი საკითხი კი დღემდე გადაუჭრელია. პირველ რიგში ეს ეხება საბეხვების, საბურღავი დანადგარების ხარისხს, რომლებიც ტექნიკურად არ შეეფერებიან დღევანდელი დღის მოთხოვნას.

ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბურღვაში მცირე და შემცირებული დიამეტრის ჭაბურღილებზე გადასვლას. ამ გადასვლას აფერხებს შესაფერისი საბურღი მოწყობილობის ნაკლებობა.

ამხ. მუსტაფაევი თავისი სიტყვის დასასრულს ამბობს, რომ აზერბაიჯანის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, უპასუხებენ რა ვლადიმირისა და სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოების სამრეწველო საწარმოთა მშრომელების მოწოდებას, იკისრეს მთლიანად რესპუბლიკაში უკვე 1964 წელს მიაღწიონ წარმოების დონეს, რომელიც დასახულია 1965 წლისათვის.

რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ვ. ნ. ნოვიკოვი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უდიდესი ორგანიზატორული საქმიანობის შედეგად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ექვსი თვის პროგრამა რუსეთის სფს რესპუბლიკის მრეწველობამ 24 ივნისს შეასრულა.

მრეწველობა და მშენებლობა იძენენ სულ ახალ და ახალ მექანიზმებსა და მანქანებს. უკანასკნელ შვიდ წელიწადში რუსეთის სფსრ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გადიდდა საშუალოდ 6,7 პროცენტით წელიწადში. შემდეგ კი სამუშაო დღის დასახული შემცირებული ხანგრძლივობის გათვალისწინებით შრომის ნაყოფიერება საშუალოდ შვიდწლედის ყოველ წელს უნდა გადიდდეს 10 პროცენტით და მეტით.

ასეთი მაღალი ტემპი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას უწინარეს ყოვლისა მრეწველობის ტექნიკური დონის შემდგომი სწრაფი აღმავლობით.

ორატორმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მრეწველობაში შრომითი რესურსების გამოყენებას. რუსეთის ფედერაციაში ჯერ კიდევ ბევრი საწარმოა, რომელთაც მუშათა მცირე რიცხვი ჰყავთ. ზოგიერთ დარგში ყოველ მუშაზე მოდის ერთი ადამიანი, რომელიც ასრულებს დამხმარე ოპერაციებს. ამიტომ საჭიროა უფრო გაბედულად ვიაროთ საწარმოთა გამსხვილების გზით.

დნეპროპეტროვსკის ოლქის ძერჟინსკის სახელობის ქარხნის დირექტორმა **გ. გ. ორეშკინმა** გააცხადა, რომ მეტალურგებმა გულდასმით გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ ორი წლით ადრე მიაღწიონ წარმოების დონეს, რომელიც დასახულია 1965 წლისათვის.

წარმოების ტემპის დაჩქარების რეზერვები კოლექტივმა გამოძებნა მუშებისა და ინჟინრების დაუცხრომელი შემოქმედებითი აქტივობის მეოხებით, რომლებიც წყვეტენ რთულ ტექნიკურ პრობლემებს.

ბრძოლის პროცესში ბუნებრივი გაზისა და ჟანგბადის კომპლექსური გამოყენების უკვე პირველმა ცდამ ცხადყო, რომ შესაძლებელია ბრძოლების მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი გადიდება, კოქსის ხარჯვის შემცირება, თუჯის თვითღირებულების გაიაფება. ქარხანაში წარმოიშვა ახალი ტიპის მანქანა კირქვის გამოსაწვავად სააგლომერაციო წარმოების ნაკადში. გასახურებლად დაიდგა ახალი უნიკალური მარტენის ღუმელი, რომელიც იმუშავებს ცივი ბუნებრივი გაზით. იგი აშენებულია სამი ძველი მარტენის ღუმელის ნაცვლად, რომლებზეც 360 კაცი დღე-ღამეში 400 ტონა ფოლადს უშვებდა. ახლა ღუმელს მოემსახურება 60-70 კაცი, ხოლო ლითონს მნიშვნელოვნად მეტს გამოუშვებენ. ეუფლებიან რელსების თერმულ დამუშავებას, მასთან აწრთობენ რელსის თავს მთელ სიგრძეზე, ასეთი დამუშავება მნიშვნელოვნად ადიდებს ნაკეთობის სიმტკიცეს.

ამხ. ორეშკინი შემდეგ აღნიშნავს, რომ ყველა საწარმო როდია ჩაყენებული თანაბარ პირობებში ახალი ტექნიკის შექმნის დროს. ყველგან როდია საკმაოდ მძლავრი სარემონტო-დამხმარე სამეკროები და საჭირო საინჟინრო-ტექნიკური კადრები. იგი გამოთქვამს სურვილს, რათა დოვლათისა და სიმდიდრეთა განაწილება სხვადასხვა საწარმოს შორის უფრო თანაბარზომიერი იყოს.

უკრაინის კომპარტიის ლუგანსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. კ. კლიმენკომ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ამ ეკონომიური რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა მნიშვნელოვანწილად ზოგიერთი საწარმოო პროცესის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის მეოხებით. ბევრ შახტში სავსებით ლიკვიდირებულია მზიდავთა პროფესია, რომლებიც შეცვალეს მანქანების მმართველმა ოპერატორებმა. წარმოების ავტომატიზაციისათვის ბევრი რამ გაკეთდა ოლქის ქიმიურ მრეწველობაში, რომელიც უშვებს დაახლოებით 300 სახელწოდების სხვადასხვა პროდუქტს, რომელთაგან 40 ათვისებულია უკანასკნელ წელიწადნახევარში.

ამხ. კლიმენკო შემდეგ ლაპარაკობს ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატის კომუნისტების ინიციატივის შესახებ, რომლებმაც შეიტანეს წინადადება, რომ მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის გზით რამდენჯერმე გადიდდეს შარდოვანის — უძვირფასესი სასუქის საამქროს სიმძლავრე.

ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ, ორატორი სთხოვს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დახმარება გაუწიოს ლისიჩანელთა წინადადებების რეალიზაციას. იგი აყენებს აგრეთვე საკითხს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და გზათა სამინისტრომ დააჩქარონ საკითხების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია თბომავლების წარმოების რაციონალიზაციასთან, რაც ჩვენს ქვეყანას დაუზოგავს ბევრ შავ და ფერად ლითონს.

ორატორმა განაცხადა, რომ ოლქის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ვლადიმირელთა და სვერდლოვსკელთა პატრიოტულ თაოსნობას და იკისრეს ვალდებულება 1964 წელს მიაღწიონ წარმოების დონეს, რომელიც დაგეგმილია შვიდწლედის ბოლოსათვის. ოლქის ბევრმა მოწინავე კოლექტივმა გადაწყვიტა ამ დონეს მიაღწიოს არა ერთი წლით, არამედ ვადაზე ორი წლით ადრე.

სიტყვა ეძლევა ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მჭედელთა ბრიგადირს **მ. ა. დრესვიანკინს.** იგი პლენუმის მონაწილეებს მიმართავს და ამბობს:

— ჩემთვის დიდ პატივად მიმაჩნია, რომ უბრალო მუშას, ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის მჭედელს, შესაძლებლობა მომეცა მონაწილეობა მიმეღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმში და განმეხილა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტექნიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ყველაფერი, რასაც ჩვენთვის აკეთებენ ჩვენი პარტია და მთავრობა, მიმართულია ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამხ. დრესვიანკინმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიიღო მისმა ბრიგადამ პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მუშებმა განიხილეს და გადაწყვიტეს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს შრომის ნაყოფიერების მემდგომი გადიდებისათვის, შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მჭედელთა ათმა ბრიგადამ იკისრა შვიდწლიანი გეგმა ხუთ წელიწადში შეასრულოს. ვიკისრეთ რა გადიდებული ვალდებულებანი, განაგრძო ურალელმა მუშამ, ჩვენ მივმართეთ ჩვენი ქვეყნის ყველა მანქანათმშენებელს მოწოდებით მხარი დაუჭირონ ჩვენს თაოსნობას. ურალის მანქანათსაშენებელ ქარხანაში დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მოძრაობაში ჩაება ათასობით მუშა, 112 ბრიგადა და 15 ცვლა იბრძვიან კომუნისტურ ბრიგადებად და ცვლებად წოდების უფლებისათვის.

პარტიის XXI ყრილობისა და ამ პლენუმის მიერ დასახული ამოცანები, განაგრძო ამხ. დრესვიანკინმა, გვავალებენ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ჩვენ ამ მიმართულებით სამუშაოთა დიდ პროგრამას ვასრულებთ.

წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია განაცხადა თავის სიტყვაში ნოვოსიბირსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. ტ. ზაბალუევმა,** შესაძლებლობას იძლევიან არა მარტო გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, არამედ შევამსუბუქოთ ადამიანის შრომაც, შევქმნათ იმის საჭირო პირობები, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე, ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა, რომ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე უფრო ამაღლდეს.

ნოვოსიბირსკის ეკონომიური რაიონი გახდა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში, განაგრძო ორატორმა. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები ყოველწლიურად ითვისებენ დიდძალი ახალი ტექნიკის გამოშვებას სახალხო მეურნეობისათვის. გათვალისწინებულია დიდი უნიკალური ჩარხების გამოშვება პროგრამული მართვით, მძლავრი მცირეგაბარიტიანი წნეხების, ტურბოგენერატორების, ელექტროორკალური, ფოლადსადნობი ღუმელების, მაღალი სიზუსტის სხვადასხვა ხელსაწყოს გამოშვება.

ეკონომიურ რაიონში სამრეწველო მშენებლობის დაპროექტებაზე ამჟამად მუშაობს ქალაქ ნოვოსიბირსკის 20-ზე მეტი ორგანიზაცია და სხვა ქალაქების ამდენივე ორგანიზაცია. ეს იწვევს დიდ სიძნელეს და ხშირად აძვირებს მშენებლობას. ამხ. ზაბალუევს მიაჩნია, რომ სამრეწველო მშენებლობის დაპროექტება თავმოყრილ უნდა იქნას ერთ ორგანიზაციაში, რომელიც შეავა სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვძებნოთ და ჩავაყენოთ წარმოების სამსახურში არსებული რეზერვები, სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ს. ა. მოვსესიანმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში გამოვლინებულია თითქმის 60 ათასი კვადრატული მეტრი გამოუყენებელი ან ისეთი საწარმოო ფართობი, რომელსაც არასაკმაოდ იყენებენ. ამ ფართობზე ეწყობა ახალი წარმოება, უპირატესად მანქანათსაშენებელი და ხელსაწყოთსაშენებელი. ხორციელდება პროცესების მექანიზაცია და კომპლექსური ავტომატიზაცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობა, რომელსაც სახალხო მეურნეობის საბჭო ეწევა ტექნიკური პროგრესის დარგში, ჯერ კიდევ არ შეიძლება სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

შეეხო რა ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებს, ამხ. მოვსესიანმა თქვა, რომ ქიმიურ საწარმოთა კოლექტივებმა გამონახეს შინაგანი რეზერვები პროდუქციის გამოშვების გასაადიდებლად. შესაძლებელი აღმოჩნდა, დამატებითი კაპიტალდაბანდების გაუწევლად, სინთეზური კაუჩუკის, კაუსტიკური სოდის, ძმარმჟავას, სინთეზური კორუნდის, ავტომანქანების, რეზინტექნიკური და სხვა ძვირფას ქიმიურ ნაკეთობათა და პროდუქტების გამოშვების გადიდება შვიდწლიანი გეგმის დავალებებთან შედარებით.

სიტყვას ამბობს სტალინოს ოლქის ლუტუგინის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის ბრიგადირი **ა. ა. კოლჩიკი.** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში, ამბობს იგი, მაღაროელთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. დადგა რა პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ბრიგადის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ამოიღო 1.673 ტონა ქვანახშირი. სათბობის საშუალო სადღეღამისო ამოღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 52 ტონით. ბრიგადის თვითეული წევრი ცვლაში ნორმის გადამეტებით იძლევა 2,4 ტონა ქვანახშირს. ფულადი სახსრებისა და მასალების ეკონომიური ხარჯვით ჩვენ სახელმწიფოს დავუზოგეთ 55 ათასი მანეთი. მარტო საბიგე მასალა ჩვენ დავზოგეთ 300 კუბურ მეტრზე მეტი.

შემდეგ ამხ. კოლჩიკი აღნიშნავს, რომ მისი ბრიგადის მუშებმა მიზნად დაისახეს —ისწავლონ, იმუშაონ და იცხოვრონ კომუნისტურად; დაეხმარონ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში, ებრძოლონ წარსულის გადმონაშთებს. ბრიგადის 24 წევრიდან 18 კაცი სწავლობს მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, ერთი — უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსამზადებელ კურსებზე და სამი — მექანიზატორთა კურსებზე.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. კოლჩიკი აყენებს მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც შეეხება ქვანახშირის მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **გ. ი. გაილი** ჩამოთვლის რა მთელი რიგი ახალი ნიმუშების პროდუქციას, რომლის ათვისებაზე მუშაობენ ამჟამად რესპუბლიკის ქარხნები, ამბობს, რომ შვიდწლედში წარმოებას გადაეცემა 6 ათასზე მეტი ახალ სახელწოდებათა მანქანები, სამრეწველო ნაწარმი, მასალები და ფართო მოხმარების საქონელი.

ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი მასშტაბით წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებასთან, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. გაილი, არ შეიძლება გადაიჭრას, თუ არ გვეყოლა საკმაო რაოდენობის კვალიფიციურ ინჟინერთა შემადგენლობა. ამიტომ ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უკვე წელს საწარმოთა სამმართველო აპარატის შემცირებით ათასი კაცით გაადიდოს კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შემადგენლობა.

ამხ. გაილი გამოთქვამს მთელ რიგ სურვილებს მასალებისა და მოწყობილობის მიწოდების დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ, განსაკუთრებით ისეთი მასალებისა და მოწყობილობის, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტექნიკის გეგმის შესრულებასთან. იგი ლაპარაკობს აგრეთვე ეკონომიურ რაიონებში სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ორგანიზაციის საკითხებზე.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **მ. ს. სიდელნიკოვმა** თავისი სიტყვის დასაწყისში ილაპარაკა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის სახელგანძმული კოლექტივის მიღწევებზე. ქარხანამ ვადამდე შეასრულა მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. დამთავრდა 75 ცხენძალის სიმძლავრის უფრო სრულყოფილი ტრაქტორის საცდელი ნიმუშების დამზადება, ნაცვლად დ. ტ.-54 მარკის სერიული ტრაქტორებისა. ახალი მანქანის სიმძლავრის ერთეულზე კონსტრუქციული წონა 30 კილოგრამით ნაკლებია ვიდრე ძველისა. დამთავრდა ფოლადსამსხმელო საამქროს მოდერნიზაცია. საგულისხმოა, რომ რამდენიმე თვის წინათ ქარხანაში დაისვა საკითხი 70 მილიონი მანეთის ღირებულების მეორე ფოლადსამსხმელო საამქროს მშენებლობის შესახებ. ახლა კი მოწყობილობის მოდერნიზაციას დასჭირდა მხოლოდ 26 მილიონი მანეთი და სხმულის გამოშვება გადიდდა 2,8-ჯერ.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ტექნიკური პროგრესის მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებზე.

დადგა დრო სერიოზულად გადაისინჯოს ქარხნებში მართვის სტრუქტურა, მათი ანგარიშგება, რაც ბევრ მუშაკს მოითხოვს. ამის ნაცვლად, ამბობს ამხ. სიდელნიკოვი, შეიძლება გადიდდეს შემოქმედებითი შრომის მუშაკთა— ტექნოლოგთა, კონსტრუქტორთა და მკვლევართა რაოდენობა.

მ. ს. სიდელნიკოვის გამოსვლით დამთავრდა 26 ივნისის საღამოს სხდომა. (საკდესი).

* * *

27 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა. სხდომის დასაწყისში გამოვიდა პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის (მოსკოვი) დირექტორი **ა. ა. გრომოვი.**

ქარხნის კოლექტივის გამოცდილების მიხედვით, ამბობს იგი, შეიძლება დავინახოთ, თუ რა დიდმნიშვნელოვანი რეზერვია მრეწველობის განვითარებისათვის მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, რისი მიღწევა შეიძლება

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის კომიტეტის წერილზე

ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის კომიტეტის პრეზიდენტმა ბ-ნმა ჰანს ვერნერ რიხტერმა და კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა კანონიკმა ლ. ჯონ კოლინსმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართეს წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო:

„დიდად პატივცემულო ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო!

ატომგულის იარაღის მქონე სამი სახელმწიფოს მეთაურთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტის შესახებ ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის ნამდვილ შენელებას. რადგან ასეთი შენელება ნამდვილი მშვიდობის დამყარების წანამძღვარია, საჭიროა ყველა საშუალებით ვეცადოთ მის მიღწევას.

ჟენევაში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საზოგადოებრიობა მოელის, რომ მთავრობათა მეთაურები კეთილი ნების ხელშესახებ დამამტკიცებელ საბუთებს მოგვცემენ და წარმატებითს შედეგებს მიაღწევენ ჟენევის კონფერენციაზე. ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის კომიტეტი თავისი მომხრე ეროვნული ორგანიზაციების სახელით დაბეჯითებით მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს დადონ შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ“.

ქვემოთ ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამ წერილზე.

ბ-ნ ჰანს ვერნერ რიხტერს, პრეზიდენტს,
კანონიკ ლ. ჯონ კოლინსს, ვიცე-პრეზიდენტს,

ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის კომიტეტი
მიუნხენი 23, ომეშსტრასე 13, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

პატივცემულო ბატონებო,

მე მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც თქვენ ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის კომიტეტისა და მისი მომხრე ეროვნული ორგანიზაციების სახელით მოუწოდებთ ატომგულის იარაღის მქონე სამი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს გამოიჩინონ კეთილი ნება და დადონ შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენი ფედერაცია სერიოზული მომხრეა ბრძოლისა ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემის — ატომური და წყალბადის იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტის პრობლემის გადაჭრისათვის.

საბჭოთა კავშირი მუდამ გადაჭრით ემხრობოდა და ემხრობა ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და სამუდამოდ შეწყვეტას. თუ ვილაპარაკებთ გამოცდის შეწყვეტის საკითხში სახელმწიფოების კეთილი ნების ხელშესახებ, როგორც თქვენ წერთ, დამამტკიცებელ საბუთებზე, საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციის გულწრფელობა არაერთხელ ყოფილა დადასტურებული კონკრეტული საქმეებით.

ისევე როგორც წინათ, ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივ, სრულიად გადაუდებლად, მოვაწეროთ ხელი შეთანხმებას ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაშასადამე, დღეს, ისევე როგორც წინათ, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, მზად არიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები გადადგან ეს ნაბიჯი.

პატივისცემით
ნ. ხრუშჩოვი

1959 წლის 24 ივნისი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

წარმოების განუწყვეტელი სრულყოფით. სწორედ ამ საფუძველზე ქარხნის პროდუქციის მოცულობა მოხერხდა ბევრად გაგვედიდებინა ომამდელთან შედარებით. ქარხანაში შეიქმნა წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განყოფილება. უკანასკნელ წლებში მოდერნიზებულია 1.200 ერთეული მოწყობილობა, ამასთან აქედან 600 ერთეული გადაქცეულია ავტომატებად. ქარხნის კოლექტივმა კონსტრუქტორებთან და ჩარხმშენებლებთან თანამშრომლობით შექმნეს და კარგად მუშაობს საკისარების წარმოების მსოფლიოში პირველი ავტომატური საამქრო.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ა. ნ. ნესმეიანოვმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ავტომატიკისა და ქიმიის დარგის მეცნიერულ პრობლემებს და ილაპარაკა, თუ როგორ წყვეტენ მათ აკადემიის ინსტიტუტები.

ავტომატიკის ფრონტის მოწინავე ხაზზე. ამბობს ამხ. ნესმეიანოვი, დგანან ციფრების მანქანები — გამომთვლელი, მმართველი, საინფორმაციო მანქანები. ელექტრონული გამომთვლელი ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია სახალხო მეურნეობისა და სტატისტიკის დაგეგმვა. შესაძლებელია, რომ აქ იყოს ეკონომიის ყველაზე მეტი რეზერვები.

ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის გამოყენება, კერძოდ ნავთობის მრეწველობაში, შვიდწლედში მოგვცემს სულ ცოტა მილიარდი მანეთის ეკონომიას. თუ კომპლექსური ავტომატიზაცია გამოყენებულ იქნა ყველა ახალ ნავთობის ჭაბურღილში, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა, მაშინ საერთო ეკონომია 1960 წლიდან 1965 წლამდე შეადგენს დაახლოებით 2,5 მილიარდ მანეთს. მთელი რიგი სამუშაოების კომპლექსური ავტომატიზაცია მეტალურგიულ მრეწველობაში აგრეთვე მოგვცემს შესაძლებლობას დავზოგოთ ასობით მილიონი მანეთი. მაგრამ, აცხადებს ამხ. ნესმეიანოვი, მეცნიერული მუშაობა ავტომატიზაციის დარგში კიდევ უფრო მნიშვნელოვნად უნდა ვაფართოვდეს.

ლუგანსკის ოლქის მეშახტეთა სახელით და კომუნისტური შრომის თავისი ბრიგადის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მხურვალე სალამი გადასცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილმა ქვანახშირის მუშაკმა **ნ. ი. მამაიმ**, შახტ „სევერნაია-2“ (ლუგანსკის ოლქი) ბრიგადირმა.

გამოვედი რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე, თქვა ამხ. მამაიმ, პირობა მივეცი ყრილობას, რომ დონბასის მეშახტეები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა. ბრიგადაში განვიხილეთ ჩვენი ამოცანები XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში და ვიკისრეთ 1959 წელს ამოვიღოთ, სულ ცოტა ორნახევარი ტონა ქვანახშირი ნორმის გადაჭარბებით ცვლაში თითოეულ მნგრეველზე, ხოლო წელიწადში ნორმის გადაჭარბებით ამოვიღოთ 8.430 ტონა ქვანახშირი. ბრიგადამ იკისრა თავისი შვიდწლიანი დავალება შეასრულოს ხუთ წელიწადში, მე კი, როგორც ბრიგადირმა, ოთხნახევარ წელიწადში, განაცხადა ამხ. მამაიმ.

ლუგანსკელმა მეშახტემ თქვა, რომ გასული ხუთი თვის განმავლობაში მისი ბრიგადის თითოეული მნგრეველი ცვლაში დამატებით იძლეოდა ორნახევარ ტონა ქვანახშირს, თვითონ კი პირადად — 3,6 ტონას. მისმა ბრიგადამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საჩუქრად ნორმის გადაჭარბებით ამოიღო 4.250 ტონა ქვანახშირი.

ჩვენს კოლექტივს, განაგრძო ორატორმა, მიეხიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება. ჩვენ გვესმის, რომ ეს მაღალი წოდება უნდა გავამართლოთ.

ამ შვიდწლედში, ამბობს ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ა. კახაროვი**, რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდება მძიმე ინდუსტრიის ხვედრი წონა. ხელახლა შეიქმნება ქიმიური, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგები.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გაიაზრა აქტიური მუშაობა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვების გამოსაძებნად. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სტალინაბადისა და ლენინაბადის აბრეშუმის კომბინატების კოლექტივებმა, რომლებმაც დასახეს, უმთავრესად, საწარმოთა რეკონსტრუქციით აბრეშუმის ქსოვილების წარმოება 1965 წელს აიყვანონ 60 მილიონ მეტრამდე წელიწადში ნაცვლად 25 მილიონი მეტრისა, რომელსაც ამჟამად უშვებენ. ასეთი წინადადება შემოიტანეს ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკების კოლექტივებმა.

შვიდწლედი დაეუფლა მილიონობით საბჭოთა ქალიშვილისა და ჭაბუკის გონებასა და გულს, ისინი დარაზმა ახალი საბრძოლო საქმეებისათვის, ახალი შრომითი გმირობისათვის, თქვა თავის სიტყვაში საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ს. ხრუშჩევმა.**

ორატორი ლაპარაკობს ახალგაზრდობის გმირულ შრომაზე დაქვრელ კომკავშირულ მშენებლობებზე, ცომბირის, ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისებაზე. იგი აცხადებს, რომ საკითხებს, რომლებსაც პლენუმი იხილავს, პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ყომკავშირის საქმიანობასთან და საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებასთან. ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს და ახალგაზრდობა ისწრაფვის იყოს კაცობრიობის. ნათელი მომავლის მშენებელთა პირველ რიგებში.

ამხ. პავლოვი აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის წარმატება.

ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენში ცოტა იცემა პოპულარული წარმტაცი ლიტერატურა ახალ ტექნიკაზე, ქიმიაზე, ელექტრონიკაზე, კიბერნეტიკაზე, ტელემექანიკაზე, სრულიადაც არ არის საკმაო ტექნიკური მუზეუმების რიცხვი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კულტურის სასახლეებმა, მუზეუმებმა, კლუბებმა ყოველდღიურად უნდა გაუწიონ პროპაგანდა შვიდწლედს, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას.

ტრიბუნაზეა მინსკის ავტომატური ხაზების ქარხნის გამომხარატებელი **ა. ნ. ვიტაშკევიჩი.** ავტომატური ხაზების წარმოებაში, ამბობს იგი, ჩვენს ქარხანას თვალსაჩინო ადგილი უკავია.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს თავის მუშაობაზე გამომხარატებელი ჩარხით გამმართველის დაუხმარებლად. პრაქტიკაში, ამბობს იგი, ხშირად ასე გამოდის: მაგალითად, მუშას მოეშალა ჩარხი, ამას უცდადებს ოსტატს, რომელიც იწვევს მექანიკოსს, იგი კი, თავის მხრივ, იწვევს ზეინკალს. ზეინკალმა დაათვალიერა ჩარხი — აღმოჩნდა უწესივრობა ელექტრონაწილში და საჭიროა მონტიორის ჩარევა. მონტიორმა გაასწორა უწესივრობა და გამოიწვია გამმართველი. ამრიგად, გამოდის, რომ დაბალი კვალიფიკაციის ერთ-ერთ მუშას მომსახურებას უწევს 4-5 კვალიფიციური მუშა.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხილვისას, აღნიშნავს ამხ. ვიტაშკევიჩი, მე გადავწყვიტე იოლად წავსულიყავი უგამმართველოდ, უზეინკლებოდ და უმონტიორებოდ. მუშაობის ასეთი წესი შემოიღო აგრეთვე ჩემმა მონაცვლემ. ახლა ჩვენთან არ არის არც ავარიები, არც გატეხის შემთხვევები. ჩემი დაზგა კარგად შევისწავლე და იგი მუდამ სანიმუშო წესრიგზეა.

საფეიქრო მრეწველობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები წამოაყენა თავის სიტყვაში საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. ი. ნეფედოვამ.** მან ილაპარაკა დიდ შემოქმედებითს მუშაობაზე საწარმოებში. ფეიქრები უკვე 1959 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ ას მილიონ მეტრზე მეტ ქსოვილს.

პროფკავშირების მრავალმხრივ საქმიანობაში, თქვა ამხ. ნეფედოვამ, აქტიურად მონაწილეობს ასი-ათასობით ადამიანი. პროფკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო ღრმად სწვდებიან საწარმოთა საქმიანობას, აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმართავენ მას ძირითადი საწარმოო ამოცანების გადასაჭრელად. მხურვალე მხარდაჭერა პოვა თანამედროვეობის შესანიშნავმა მოძრაობამ კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდებისათვის. ამ ბრიგადების მონაწილენი, რომელთა შორის ბევრია ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, კისრულობენ ყველაზე ძნელი საწარმოო საკითხების გადაჭრას. ისინი არ მოითხოვენ რაიმე განსაკუთრებულ პირობებს, ხოლო საუკეთესო შედეგებს აღწევენ მუშაობასა და სწავლაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. ბ. არისტოვმა.**

ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე ღრმა და ყოვლისმხრივი განხილვა საკითხებისა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის ყოველმხრივი აღმავლობის შესახებ, ამბობს ამხ. არისტოვი, ახალი ეტაპია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაზე ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის საქმეში.

ამხ. არისტოვი შემდეგ ეხება მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის შემდგომი განვითარების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებს. როგორც ჩანს, ყველასათვის აშკარაა, ამბობს იგი, რომ შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს სწორედ ახალი ტექნიკის ფართო დანერგვა, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, გაფართოება და ტექნიკური ხელახალი შეიარაღება, სპეციალიზაცია და კოოპერირება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშაკებს. როცა ისმება მოწყობილობის განახლების, ძველის ახლით შეცვლის, მექანიზაციისა და ავტომატიკის დანერგვის ასეთი დიდი ამოცანა, მანქანათმშენებლობის დაჩქარებულ განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

მოქმედი მოწყობილობის უსწრაფესი მოდერნიზაციისათვის ბრძოლა უნდა იყოს ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ეს ამოცანა რომ გადავჭრათ, უნდა ვიცოდეთ მოქმედი მანქანათმშენებელი ქარხნების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით, რათა ნაკლები დანახარჯებით და უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ეს საჭიროა ახალი ქარხნების მშენებლობისათვის, უზრუნველყოთ მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვების გადიდება.

საწარმოო სიმძლავრეთა გასაღიდებლად მანქანათმშენებლობის საწარმოებში დიდი რეზერვებია რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში, კერძოდ, ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში. მანქანათმშენებლებმა რომ თავი გაართვან მათ წინაშე დასახულ უდიდეს ამოცანებს, ამბობს ამხ. არისტოვი, მათ მეტად სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ. და, უწინარეს ყოვლისა, მეტალურგებმა.

შემდეგ ამხ. არისტოვი აყენებს მეტალურგიული მოწყობილობის კეთების ტემპის დაჩქარების საკითხს. ჩვენ ვისწავლეთ ბრძმედების აგება ექვს-ცხრა თვეში, ამბობს იგი, საგლინავი დგანების კეთებას კი უნდება ხუთი-ექვსი, ხოლო ზოგჯერ ათი წელიც. ამის შედეგად ქარხანაში დგანის დადგმის მომენტისათვის იგი უკვე აღმოჩნდება მოძველებული.

შვიდწლედის განმავლობაში, აღნიშნავს ამხ. არისტოვი, მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში უნდა ამოვიღოთ და გადავადგიროთ 27 მილიარდი ტონა სამთო მასა მარტო შავ და ფერად მეტალურგიაში, საშენ მასალათა მრეწველობასა და ქვანახშირის მრეწველობაში. მაგრამ ჩვენი სამთო ტექნიკა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მძლავრი და მას ჩვენ ვერ ვაწარმოებთ საჭირო რაოდენობით. ჩვენი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ ამ ტექნიკის წარმოება.

შემდეგ ამხ. არისტოვი შეეხო სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობას. სახალხო მეურნეობის საბჭო ახლა უფრო ძლიერია, აღნიშნა მან, ვიდრე ყოველი წინანდელი სამრეწველო სამინისტრო. ეს მრეწველობის მართვის უფრო მაღალი და ცხოველმყოფელი ფორმაა. საჭიროა მხოლოდ, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებმა რაც შეიძლება უფრო თავთოდ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა საწარმოთა ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის და უფრო კომპლექსურად გადაწყვიტონ ახალი ტექნიკის საკითხები. მეტად საჭიროა განვამტკიცოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებში სახელმწიფო დისციპლინა, არ დავუშვათ კუთხურობის გამოვლინების ფაქტები.

თავიანთ ვალდებულებებს ბაშკირეთის მენავთობეები, რომლებიც XXI ყრილობის შემდეგ გამოვიდნენ სრულიად საკავშირო შეჯიბრების ინიციატორებად შვიდწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმატებით ასრულებენ, განაცხადა თავის სიტყვაში პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ზ. ნ. ნურიევმა.**

შვიდწლედში ბაშკირეთის ეკონომიური რაიონის სამრეწველო წარმოება 1958 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 2,4-ჯერ. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის პირობად, ამბობს ამხ. ნურიევი, საოლქო პარტიულ ორგანიზაციას მიაჩნია არა მარტო ახალ სიმძლავრეთა შექმნა და ამუშავება, არამედ აგრეთვე ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა.

შვიდწლედი ბაშკირეთში ხორციელდება იმ ლოზუნგით, რომ ნავთობის იაფი ნედლეულის ბაზაზე შეიქმნას მძლავრი თანამედროვე ქიმიური მრეწველობა, განაცხადა შემდეგ ორატორმა. იგი შეეხო ქიმიური საწარმოების მშენებლობას, პარტიის საოლქო კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს მოქმედი და შენდებადი ქარხნების სამძლავრეთა გასაღიდებლად თანამედროვე მოწყობილობით მათი აღჭურვის გზით.

კალინინის ოლქის ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის მუშამ **ვ. ი. გაგანოვამ** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ წარმოიშვა მის საწარმოში საინტერესო წამოწყება — ამხანაგური ურთიერთდახმარება. ვალენტინა გაგანოვა გამოვიდა ამ მოძრაობის ინიციატორად. იგი მოწინავე ბრიგადიდან გადავიდა ერთ-ერთ ჩამორჩენილ ბრიგადაში. ახლა ეს ბრიგადა, რომელსაც იგი სათავეში ჩაუდგა, გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს.

ჩვენ ყველანი კარგ გუნებაზე ვართ, განაცხადა ფეიქარმა, და დარწმუნებული ვართ, რომ კიდევ უკეთესად ვიმუშავებთ. საქმე ის არის, განაგრძო მან, რომ ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებინა, რომ არ არის ცუდი მანქანები, ცუდი ბრიგადები და უბნები. საქმე ცუდად არის იქ, სადაც ცუდად მუშაობენ ადამიანები, სადაც დაბალია კვალიფიკაცია, სადაც ჯეროვნად არ არის ორგანიზებული შრომა, სადაც დაბალია შრომის დისციპლინის დონე.

ამხ. გაგანოვამ თქვა, რომ მის მაგალითს მიბაძა კალინინის ოლქის საწარმოთა ასობით მუშამ. მე სიხარულით შევიტყე, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ არა მარტო ფეიქრები უმეტეს მხარს ჩემს წინადადებას, თურმე, მრეწველობის სხვა დარგებშიც და სოფლის მეურნეობაშიც არის შესაძლებლობა პირადი მაგალითით შევუწყოთ ხელი იმას, რომ ჩამორჩენილი უბნები მოწინავე გახდნენ. ჩვენს ბრიგადას ახლა მრავალი წერილი მოსდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან და რესპუბლიკიდან. წერილებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ყველგან საუკეთესო მუშები გაბედულად მიდიან იქ, სადაც სიძნელეა, სადაც საჭიროა დახმარება. ეს გვახარებს, ახალ ძალებს გვმატებს.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. გაგანოვა ამბობს:

— ვიშნი ვოლოჩეკის ფეიქართა სახელით პირობას ვიძლევი, რომ მხურვალედ დავუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას. ჩვენ გვესმის, რომ ეს ღონისძიებანი არის ზრუნვის ახალი გამოვლინება ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის, ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისათვის.

გზათა მინისტრმა **ბ. პ. ბეშჩევმა** თავისი სიტყვის დასაწყისში ილაპარაკა რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაზე. პარტიის XX და XXI ყრილობას შორის განვლილ პერიოდში ტვირთბრუნვა გადიდდა 34 პროცენტით და მეტით. საბჭოთა კავშირის რკინიგზელები სამუშაოთა მოცულობით გამოვიდნენ პირველ ადგილზე მსოფლიოში და 1958 წელს 60 პროცენტით გადააჭარბეს ამერიკის შეერთებული შტატების რკინიგზების ტვირთბრუნვას.

დაახასიათა რა ტექნიკური პროგრესის გზები ტრანსპორტზე, მინისტრმა თქვა, რომ მთავარი საკითხია წევის რეკონსტრუქცია. მაგისტრალების საერთო სიგრძე, რომლებიც გადაყვანილია ელექტრონულ და თბოწევაზე, გადიდდა 21 ათას კილომეტრამდე. ელექტრომავლებისა და თბომავლების წილად ახლა მოდის რკინიგზების მთელი ტვირთბრუნვის დაახლოებით 32 პროცენტი.

შემდეგ მინისტრმა ილაპარაკა, რომ საჭიროა უფრო მალე ავითვისოთ ახალი სარკინიგზო ტექნიკის წარმოება, რომლის გამოყენებას შეუძლია დიდი ეკონომიური ეფექტი მოგვცეს. მაგალითად, არის სრული შესაძლებლობა შემცირდეს მოთხოვნილება გენერატორებსა და წევის ელექტროძრავებზე ლოკომოტივმშენებლობაში იმით, რომ აშენდეს ჰიდრომექანიკური გადაცემის თბომავლები ახლა გამოყენებული ელექტროგადაცემის ნაცვლად. ამასთან დაზოგილ იქნება 6 ტონამდე ფერადი ლითონი თითოეულ თბომავალზე. გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ ავითვისეთ ჰიდრომექანიკური გადაცემის წარმოება თბომავლებისათვის თუნდაც უახლოეს ორსამ წელიწადში, მაშინ შვიდწლედის ბოლომდე შეიძლება დავზოგოთ ათასობით ტონა ფერადი ლითონი, მათ შორის სპილენძი.

ამხ. ბეშჩევმა განაცხადა, რომ შვიდწლედში კომპლექსურად იქნება მექანიზებული გზის რემონტის მთელი სამუშაოები და მექანიზებული იქნება ლიანდაგის მიმდინარე შენახვა უმეტეს დისტანციებში.

სიტყვა ეძლევა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **დ. დ. ყარაევს.**

ორატორი აღნიშნავს, რომ საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია თურქმენეთის საწარმოებში, როგორც წესი, ხორციელდება საკუთარი ძალებით, ეს ძალები კი რესპუბლიკაში საკმაო არ არის. დროა, ამბობს იგი, დიდ საწარმოებში ავტომატიზაცია გეგმიანად განვახორციელოთ.

აღნიშნავს რა, რომ თურქმენეთს აქვს მსუბუქი მრეწველობის უფრო დაჩქარებული და დიდი მასშტაბით განვითარების შესაძლებლობა, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული, ამბ. ყარაევს სასურველად მიაჩნია გათვალისწინებულ იქნას რესპუბლიკაში ახალი საფეიქრო საწარმოების მშენებლობა და მოახლოებულ იქნას მარის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის დაწყების ვადა. ეს, ამბობს იგი, შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში საფეიქრო მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან ერთად შეიქმნას მძლავრი საფეიქრო საწარმოები ნედლეულის წარმოების ადგილებში.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ი. ს. სენინმა** თავისი სიტყვის დასაწყისში განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე წლის ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერების დავალება გადაჭარბებით შესასრულეს ყველა სახალხო მეურნეობის საბჭოს და სამინისტროს საწარმოებმა. რესპუბლიკაში დღითიდღე ძლიერდება მშრომელთა ინიციატივა და აქტივობა, რომლებიც ეძებენ წარმოების გაფართოების დამატებით წყაროებს. სულ უფრო საგრძნობი შედეგი მოაქვს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების შეჯიბრებას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ხუთ-ექვს წელიწადში შესრულებისათვის.

ორატორი აღნიშნავს, რომ ამ საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი რეზერვია წარმოების გაფართოება მოქმედ საწარმოებში სახსრების უმცირესი დახარჯვით, ვიდრე ახალი მშენებლობისას.

ამხ. სენინმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო მშენებლობამ საჭიროა უახლოეს დროში ძირეულად გადასინჯოს საშენებელი მანქანების ტიპები და კონსტრუქციები, მსგავსად იმისა, როგორც ამჟამად გარდაიქმნება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ორატორს წინადადება შეაქვს დაწესდეს სატრაკტორო მრეწველობის განვითარების უფრო მაღალი ტემპი. თავის წინადადებას იგი იმით ასაბუთებს, რომ კაპიტალური დანახარჯი სატრაკტორო მრეწველობაში პროდუქციის იმავე მოცულობისათვის დაახლოებით ერთიორად ნაკლებია, ვიდრე საფეიქრო წარმოებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ი. კოსტოუსოვი** თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანა ხორციელდება წარმოების ყველა რგოლში, კერძოდ, მანქანების აშენებისა და ტექნოლოგიის სრულყოფის გარკვეული პოლიტიკით. ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში, ამბობს იგი, დაგროვებულია ცალკეული პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სამუშაოთა შესრულების უდიდესი გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით ამხ. კოსტოუსოვი აყენებს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისა და მთელი ტექნიკური პოლიტიკის კოორდინაციის საკითხს.

ინსტიტუტების შენარჩუნებული უწყებრივი აგება გაუმართლებელია და წარმოშობს პარალელიზმს, რაც მუშაობაში საჭირო არ არის. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ნავარაუდევია უახლოეს დროში განხორციელდეს მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიური ინსტიტუტების გარდაქმნა ტექნოლოგიის პრინციპების მიხედვით და შეიქმნას, მაგალითად, მექანიკური დამუშავებისა და ასაწყობ სამუშაოთა, სამჭედლო-საწნეხე და თერმული პროცესების, ჩამოსხმის პროცესებისა და სხვა ინსტიტუტები.

ამით დამთავრდა 27 ივნისის სხდომა.

* * *

29 ივნისის დილიდან კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა გორკის საავტომობილო ქარხნის დირექტორი **ი. ი. კისელიოვი.**

შემდეგ პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლით კამათი მოხსენებათა გამო დამთავრდა. კამათში მონაწილეობა მიიღო 52 კაცმა.

პლენუმმა განხილულ საკითხთა გამო ერთხმად მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

აგრეთვე ერთხმად მიღებულია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვა მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი“.

ამით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა. (საკდესი).

ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I მოსკოვს ჩამოვიდა

29 ივნისს მოსკოველებმა გულითადი შეხვედრა მოუწყეს აღმოსავლეთ აფრიკიდან ჩამოსულ საპატიო სტუმარს — ეთიოპიის იმპერატორ ჰაილე სელასიე I-ს, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა.

ეთიოპიის სახელმწიფო მეთაურს შეესახეიდრად ვნუკოვოს აეროდრომზე მივიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ნ. გ. ივნატოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პალეცკისი, სსრ კავშირის მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სამფეიქროების წარმომადგენლები.

შემხვედრთა შორის იყვნენ ეთიოპიის ელჩი სსრ კავშირში ატო გეტახუნ ტესემა, ავრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები. საბჭოთა ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ ეთიოპიის იმპერატორს და მის თანმხლებ პირებს. ჩამოსულთ სიტყვით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიემ. (საკდესი).

სიჭაბუკის შესანიშნავი დღესასწაული

ვ. ი. ლენინის სახელოვნის ცენტრალურ სტადიონზე

მოზეიმე ახალგაზრდობა გამოვიდა მოსკოვის ქუჩებში კვირას, 28 ივნისს. ყველგან გაისმოდა მუსიკა და სიმღერები — სამშობლოზე, მშობლიურ ხალხზე, ლენინის დიდ პარტიაზე.

...ახალგაზრდობის სულ ახალი და ახალი კოლონები ემატებოდა ადამიანთა მჩქეფარე ნაკადს. პროლეტარული, ფრუნზეს, ლენინის, კიევის, მოსკვორეცკის, საბჭოს რაიონები... დღესასწაულის ცენტრია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მისი მთელი ტერიტორია მორთულია ტრანსპარანტებით, ალმებით, სასპორტო დროშებით. დედაქალაქის რაიონების წარმომადგენელთა უმრავლესობა აქ მოვიდა ავტოსვლათა კოლონებად.

სტადიონზე მასობრივი სეირნობის პროგრამაში იყო ბევრი სპორტული შეჯვედრა. საცურავ აუზში გამოდიოდნენ მცურავები. აქვე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წყალბურთელთა გუნდები. მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ფიგურულმა ცურვამ, წყალში ხტომამ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთელები, კალათბურთელები, აკრობატები, მოფარიკაველები... ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბჭოთა ახალგაზრდობის დღის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

საღამოს ხუთი საათისათვის დიდი სახპორტო არენის ტრიბუნები ხალხით გაივსო. სიჭაბუკის დღესასწაულზე მოვიდნენ მონაწილენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. დღესასწაულს ესწრებოდნენ მრეწველობის მოწინავენი, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომუნისტური შრომის კოლექტივთა და დამკვრელთა წოდებისათვის მოძრაობის მონაწილენი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, საზოგადო მოღვაწეები, კულტურის მოღვაწეები.

სტადიონის ბილიკზე გამოდიან ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენები და დედაქალაქის რაიონების ახალგაზრდობა. მაყურებლები მხურვალე ტაშით ხვდებიან მათ, მიესალმებიან მათი სახით ყველა ახალგაზრდა მოსკოველს.

მქუხარე ტაში გაისმა, როცა მთავრობის ლოჟაში გამოჩნდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. ივნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი, დ. ს. პოლიანსკი.

გაისმის ფანფართა სიგნალი. პარადის სარდალი სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო რეკორდსმენი ვასილ კუზნეცოვი უპატაკებს საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს არკადი სოსინს.

არკადი სოსინი მოკლე სიტყვით ხსნის საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილ მიტინგს. დედაქალაქის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით ამბ. სოსინი გულითადად მიესალმება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც დღესასწაულს ესწრებიან.

ამ დროს ყალიშვილთა დიდმა ჯგუფმა დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა ყვავილები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ფლაგშტოკზე აღიმართა ჩვენი სამშობლოს ალამი. გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ათასობით მტ

მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა ფ. რ. კოზლოვი

მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენის გახსნაზე 28 ივნისს დილით მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი. მასთან ერთად გაფრინდნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვი, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. სოლდატოვი.

ფ. რ. კოზლოვსა და მის თანამგზავრებს ნიუ-იორკში შეუერთდება საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ვ. ბოლშაკოვი, რომელიც იქ რამდენადმე ადრე გაემგზავრა.

ამავე თვითმფრინავით ნიუ-იორკს გაემგზავრნენ საბჭოთა ავიაკონსტრუქტორები აკადემიკოსი ა. ნ. ტუპოლეკი, ა. ა. არხანგელსკი, ს. მ. ეგერი, საბჭოთა მსახიობებისა და ჟურნალისტების ჯგუფი.

ფ. რ. კოზლოვი და მისი თანამგზავრები გაემგზავრნენ თვითმფრინავით „ტუ-114“. ეს 220 ადგილიანი მანქანა არის მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო თვითმფრინავი. საჰაერო ლაინერი ააგო ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ა. ნ. ტუპოლევმა და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე პარიზში.

თვითმფრინავი „ტუ-114“ პირველად გადაფრინდება მოსკოვიდან ნიუ-იორკს ძირს დაუშვებლად 11,5 — 12 საათში. ნიუ-იორკში ყოფნის დროს საბჭოთა საჰაერო ხომალდის დათვალიერება შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების ათასობით მცხოვრებს.

ფ. რ. კოზლოვმა გაფრენის წინ მოსკოვის რადიოს თხოვნით შემდეგი განცხადება გააკეთა:

— დარწმუნებული ვარ, — თქვა მან, — რომ საბჭოთა გამოფენის ორგანიზაცია ნიუ-იორკში და ამერიკის გამოფენისა მოსკოვში სამსახურს გაუწევს ორი ხალხის დაახლოების საქმეს. ამერიკელი და საბჭოთა ხალხები დღითიდღე სულ უფრო უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს და ითანამშრომლებენ უფრო მეტი მასშტაბით, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წლებში. (საკდესი).

ფ. რ. კოზლოვი ნიუ-იორკს ჩავიდა

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს 11 საათსა და 11 წუთზე ნიუ-იორკის დროით, 18 საათსა და 11 წუთზე მოსკოვის დროით „ტუ-114“ თვითმფრინავით, რომელიც მოსკოვიდან ნიუ-იორკში ძირდაუშვებლად გადაფრინდა 11 საათსა და 6 წუთში, ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვი, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, ა. ა. სოლდატოვი და სხვები. საბჭოთა თვითმფრინავით ნიუ-იორკში იმყოფებიან ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის მეცნიერული კონსტრუქტორი ა. ნ. ტუპოლევი და მეცნიერული კონსტრუქტორის მოადგილე ა. ა. არხანგელსკი.

ნიუ-იორკის აეროპორტ აიდლუაილდში ამხანაგ ფ. რ. კოზლოვსა და საბჭოთა ოფიციალურ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, მეერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სოციალისტური ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები. ამხანაგ ფ. რ. კოზლოვსა და მის თანმხლებ პირებს აეროპორტში შეხვდნენ ნიუ-იორკის მერის წარმომადგენლები პატერსონი და ო' ბრაიენი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი კულტურული ურთიერთობის დარგში რ. დაულინგი, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი მაქსუელი და სხვები.

ქალაქ ნიუ-იორკის მერის წარმომადგენელმა პატერსონმა მიმართა ფ. რ. კოზლოვს და განაცხადა:

„მოგესალმებით ქალაქ ნიუ-იორკის სახელით. თქვენი ჩამოსვლა აქ საბჭოთა გამოფენის გახსნაზე და ვიცეპრეზიდენტ ნიქსონისა და მის თანმხლებ პირთა გამგზავრება ამერიკის გამოფენაზე მოსკოვში ხელს უწყობს მშვიდობის საქმეს ვაჭრობის საშუალებით. წარმატებას გისურვებთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენს მისიაში“.

ამს. ფ. რ. კოზლოვმა შემდეგი განცხადება გააკეთა ეკოდორომზე:

ჩვენ ეს არის „ტუ-114“ საბჭოთა ტურბო-ლაინერით ძირდაუშვებელი გადაფრენა მოვახდინეთ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვიდან ნიუ-იორკში, რაც უპრეცედენტოა ისტორიაში. მხოლოდ 11 საათის წინათ შინ ვიყავით, ახლა კი, სანამ მზეს თავისი სადღეღამისო გზის ნახევარიც არ გაუვლია, სასიამოვნო შესაძლებლობა გვაქვს მოგესალმოთ. როგორც ჩანს, ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობის დროს დედამიწის სხვადასხვა ნახევარსფეროზე განლაგებულ ჩვენს ქვეყნებს შორის მანძილი თითქოს შემცირდა და ერთიერთშეხვედრის შესაძლებლობა გადიდდა.

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი თქვენს ქალაქში, მენახა თქვენი შესანიშნავი ქვეყანა. მე აქ ჩამოვედი, რათა სსრ კავშირის მთავრობის დავალებით ხელ ვაეხლნა საბჭოთა გამოფენა „კოლიზიუმში“. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა გამოფენა ნიუ-იორკში, ისევე როგორც ამერიკული გამოფენა მოსკოვში, რომელიც ერთი თვის შემდეგ გაიხსნება, ხელს შეუწყობენ უკეთეს ურთიერთგაგებას ჩვენს ხალხებს შორის, მეგობრული ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, ხოლო მაშასადამე მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას. იმედი მაქვს, რომ საბჭოთა გამოფენა „კოლიზიუმში“ დაეხმარება ამერიკელებს სწორი წარმოდგენა იქონიონ საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც მას აქვს კეონომიური და კულტურული განვითარების დარგში.

თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს განზრახული გვაქვს გავიცნოთ ნიუ-იორკს, ვიმოგზაუროთ შეერთებული შტატების ზოგიერთ სხვა ქალაქში და ვინახულოთ სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე გავიცნოთ ამერიკელთა ცხოვრებას. ნება მიბოძეთ გადავცე ნიუ-იორკის მცხოვრებლებსა და მთელ ამერიკელ ხალხს საუკეთესო სურვილები და გულითადი სალამი პირადად ჩემგან და მთელი საბჭოთა ხალხისაგან.

ყოველი მხრიდან

ქენედის პერსპექტივა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ქენედის თათბირის შესახებ

იმ დიდ ინტერესთან დაკავშირებით, რასაც ჩვენს ქვეყანაში იჩენენ საგარეო საქმეთა მინისტრების ქენედის თათბირის მუშაობისადმი და იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებულია შეკითხვები ამის შესახებ პრესის წარმომადგენლებთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გააკეთა განცხადება როგორც იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც თათბირის მუშაობის პირველი ეტაპის ბოლოს შეიქმნა, ისე მისი პერსპექტივების შესახებ.

ა. ა. გრომიკომ თავისი განცხადების დასაწყისში დაწვრილებით ილაპარაკა ქენედის თათბირის პირველი კვირეების მუშაობაზე, რომლებიც ძირითადად მიეძღვნა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განხილვას, და ამ საკითხზე დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებზე.

რა თქმა უნდა, აცხადებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, დასავლეთის სახელმწიფოთა ოყარყოფითი დამოკიდებულება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისადმი არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი შეიძლება ამოწურულად მიეჩნიოთ. „ჩვენ მიგვაჩნია, — განაცხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 1959 წლის 19 ივნისს, — რომ ამ ამოცანის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა საზავო ხელშეკრულების დადება სრულიად გერმანიის მთავრობასთან ან სხვა უფლებამოსილ ორგანოსთან, რომელიც მთელი გერმანიის წარმომადგენელი იქნებოდა. მაგრამ თუ არ მოხერხდა საზავო ხელშეკრულების დადება ასეთ საფუძველზე, მაშინ იგი უნდა დაიდოს ორ ახლა არსებულ სუვერენულ გერმანულ სახელმწიფოსთან. იმ შემთხვევაში, თუ აღრესიული და რეციპროული წესრიგი ხელს შეუშლიან საზავო ხელშეკრულების დადებას ორ გერმანულ სახელმწიფოსთანაც, მაშინ მეტი ადარაფვარი დაგვრჩება, რომ ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან“.

უკანასკნელ კვირეებში, ნათქვამია განცხადებაში, თათბირმა მთელი თავისი ყურადღება მიაქცია მეორე საკითხს, რომელიც დღის წესრიგშია, სახელდობრ — ბერლინის საკითხს, მაგრამ იმ პოზიციის შედეგად, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოთა მინისტრებმა დაიკავეს, არ მოხერხდა შეეთანხმებულიყავით დასავლეთ ბერლინის პრობლემის რადიკალურ გადაჭრაზე.

რამდენადაც დასავლეთის სამი სახელმწიფო დაჟინებით ამბობდა უარს იმაზე, რომ დროებითი საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში აღმოფხვრილი ყოფილიყო. უკვე ახლა, საბჭოთა მთავრობამ შეთანხმების მიღწევის ინტერესებისათვის გადაწყვიტა ქენედის თათბირის მუშაობის დროებით შეწყვეტამდე ცოტა ხნით აღრე შეეტანა ახალი წინადადებანი ბერლინის საკითხზე, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ ოთხი სახელმწიფო — სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი — დადებს განსაზღვრული პერიოდისათვის გათვალისწინებ ბ ულ დროებითს შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის შესახებ.

დაწვრილებით ილაპარაკა რა ბერლინის საკითხის შესახებ საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებზე, ა. ა. გრომიკომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ წინადადებათა არასწორ განმარტებას, რასაც ხშირად ეხვდებით დასავლეთში და რაც, სამწუხაროდ, შეიძლება გავიგონოთ აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებისაგან. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადებების კრიტიკოსები იქამდე მიდიან, რომ ცდილობენ საბჭოთა კავშირს მიაწერონ განზრახვა „ჩანთქმას“ დასავლეთი ბერლინი, წაართვას მის მცხოვრებთ „თავისუფლება“. ამგვარ უცნაურ მტკიცებას შეიცავდა, კერძოდ, კ. ჰერტერის სტატია, რომელიც მან რადიოთი წარმოთქვა ქენედიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ. განა საჭიროა ვილაპარაკოთ, რომ ასეთი მსჯელობანი სამართლის ნასახსაც არ შეიცავენ და ისინი ოდნავაც არ მოწმობენ სურვილს ობიექტურად გააშუქონ საბჭოთა კავშირის პოზიცია.

ახასიათებს რა ქენედის თათბირზე შექმნილ მდგომარეობას, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ თათბირზე გაჩაღებულ დისკუსიაში საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხზე, როგორც სარკეში აისახა ორი ხაზი ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილ მონაწილეთა პოლიტიკაში გერმანიის მიმართ.

უნდა გადაიჭრას თუ არა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილი გადაუწყვეტელი საკითხები, უზრუნველყოფილ უნდა იქნას თუ არა გერმანიის როგორც დამოუკიდებელი მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარება? საბჭოთა კავშირი, აცხადებს ა. ა. გრომიკო, დადებით პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. სწორედ ამიტომ იგი მოითხოვს დაუყოვნებლივ მომზადდეს და დაიღოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ხოლო ახლანდელ პირობებში ეს ნიშნავს ასეთი ხელშეკრულების დადებას ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, და ამ გზით დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრას მშვიდობისა და ძაძაბულობის შენარჩუნის ინტერესებისათვის.

სხვა პასუხს იძლევიან დასავლეთის სახელმწიფოები. მათთვის, როგორც ჩანს, უფრო ხელსაყრელია ახლანდელი მდგომარეობა გერმანიაში, რამდენადაც იგი ქმნის ხელსაყრელ პირობებს დასავლეთ გერმანიის გადაქცევისათვის ნატოს რაკეტულ-ატომურ ბაზად, დასავლეთ ბერლინს აქცევს მუდმივ ავთვისებიან სიმსივნედ გერმანიისა და ევროპის სხეულზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმ როლს, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ იკისრა. არის საკმაოდ სიფიცვლები იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი დელეგაცია ქენედეში გაგზავნა ინსტრუქციებით — რაც შეიძლება მეტი დაბრკოლება აღმოუჩინოს მინისტრების თათბირის მუშაობას და ხელი შეუშალოს თათბირის მიერ რაიმე დადებითი გადაწყვეტილების მიღებას.

მინისტრების ქენედის თათბირი 13 ივლისამდე გადაიდო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სურვილით. ილაპარაკა რა მიზეზებზე, რომლებმაც დასავლეთის სახელმწიფოები აიძულა მოეთხოვნათ სამი კვირის შეწყვეტა ქენედის თათბირის მუშაობაში, ა. ა. გრომიკო აღნიშნავს, რომ ეს მიზეზები, ცხადია, უნდა ვეძებოთ არა თვით მოლაპარაკების მსვლელობაში. ყველაფრის მიხედვით, ეს დროებითი შეწყვეტა წინასწარ დაგეგმეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა და მხოლოდ სიბაბს ეძებდნენ, რათა გამოეცხადებინათ ეს.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ იმ ფაქტიდან, რომ ჯერჯერობით არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა დედმინშენელოვან საკითხებზე, რომელთა განსახილველად მოწვეული იყო საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი?

სსრ კავშირის მთავრობა ფიქრობს, რომ დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: საჭიროა ქენედის თათბირზე წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს შემდგომი ღონისძიებანი გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების მიზნით. ჩვენი აზრით, აღნიშნავს ა. ა. გრომიკო, არის ამოსავალი წერტილები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ვიქონიოთ ქენედის თათბირის დადებითი მუშაობის იმედი, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენს პარტნიორებს განზრახული არა აქვთ ერთი და იგივე ადგილი ტაიპინონ და მოლაპარაკება აწარმოონ „ცივი ომის“ შენარჩუნების პოზიციიდან. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი წინანდებურადვე მიიღებს ყოველ ღონისძიებას, რათა მიღწეულ იქნას ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი საკითხებზე, რომლებსაც ქენედის თათბირი განიხილავს.

(საკდესი).

საპატიო ჯილდოები—

მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა ჯგუფს

მშვიდობისათვის მოძრაობის 10 წლისთავთან დაკავშირებით მშვიდობის მსოფლიო საბჭომ საპატიო ჯილდოები დაჯილდოდა მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა ჯგუფი ჩვენს რესპუბლიკაში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცეპლის მეფლთან დაჯილდოებულია საქართველოს მშვიდობს დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოებული არიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი პოეტი გ. აბაშიძე, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრები — პოეტები გ. ლეონიძე და ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ლ. სადრაძე.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მონაწილეთა დიდი ჯგუფი საქართველოში — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის საპატიო სიგელებით. მათ შორის არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე, ვ. ჭაბუკიანი და ა. ვასაძე, დამსახურებული მასწავლებელი ნ. გამცემლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ქ. ბახტაძე, ნ. კიკნაველი და ვ. გულისაშვილი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი მ. ჯაშაშვილი, ვ. ოსოშვილი, ა. როგავა, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილენი ე. გუგუშვილი და დ. ენუქიძე, პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შეკვარდნაძე, საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. დავითაძე, პოეტი რ. მარგიანი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III და სხვები. (საკდესი).

ვაშინგტონი გეგმავს გააფართოოს ამერიკის შეერთებული შტატების ხამხედრო ბაზების რიცხვი ინგლისის მიწა-წყალზე.

(გაზეთებიდან)



მკვდარი მარყუჟი. ნახ. გ. ლომაძისა.

ფრანგი კომუნისტები აცხადებენ:

ბოლო მოვუღოთ პირად ხელისუფლებას!

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესის კორ.). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა 26 ივნისის დღის სხდომის ბოლოს, დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ამ ბოლო დროს საფრანგეთში მომხდარი ამბების ხასიათს და აღნიშნა სერიოზული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა პირადი ხელისუფლების რეჟიმის დამყარებისა და დემოკრატიის შეზღუდვის შედეგად. მან მოიყვანა აგრეთვე მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ იზრდება არმიის როლი საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმ არმიისა, თქვა დიუკლომ, რომელსაც წინათ უწოდებდნენ „დიდ მუნჯს“ და რომელიც ახლა „ყბედი“ გახდა.

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მმართველი წრეები და მასთან ახლო მდგომი დაჯგუფებანი ცდილობენ ყოველნაირად შეუშალონ ხელი ხალხის მასების შეკავშირებასა და მოქმედებას. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები, მსგავსად დე გოლისა, თქვა მან, უპირველეს როლს ასრულებენ იმ კამპანიაში და მათ ამ საქმეში ეხმარებიან სხვა დაჯგუფებანი და მოღვაწენი, რომლებიც მიმართავენ ანტიკომუნისტურ გამოხდომებს, რათა გათიშეს შეიტანონ ხალხის მასებში და დაასუსტონ ისინი.

ფრანგი ხალხისათვის, აღნიშნა დიუკლომ, ამ მომენტში დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა გააძლიროს ბრძოლა მშვიდობისათვის ალეირში მოლაპარაკების გზით.

დიუკლომ შემდეგ დაახასიათა დემოკრატიისათვის ფრანგი ხალხის ბრძოლის პერსპექტივები. მან თქვა, რომ საჭიროა პირადი ხელისუფლების რეჟიმი მარტო ახლანდელი ფიზი ფორმით კი არ განხილოლთ, არამედ აგრეთვე გავითვალისწინოთ მისი შესაძლო განვითარება. და თუ არმიის ზოგიერთი ხელმძღვანელი, თქვა მან, ემზადება დაამყაროს საფრანგეთში სამხედრო დიქტატურა, მსგავსად იმისა, რომელიც არსებობს ალეირში, ამ შემთხვევაში ცალკეული გეგმას საქმე როდი ეხება, რომელსაც არა აქვს დამოკიდებულება ოფიციალურ შეხედულებებთან.

კაპიტალისტური მონოპოლიების ხელისუფლება, განაგრძო დიუკლომ, თავის ერმა წინააღმდეგობათა გაერკვნენთ სულ უფრო მეტად ისწრაფვის პოლიტიკურ დარგში შეკავიცოს დემოკრატიული თავისუფლებანი, ხელი ეკონომიურ და სოციალურ დარგებში — გააძლიროს მშრომელთა ექსპლოატაცია და გაიარესოს მშრომელი მასების არსებობის პირობები.

ასეთი მდგომარეობის გამო, ხაზგასმით აღნიშნა დიუკლომ, კომუნისტურ პარტიას საფრანგეთის მუშათა კლასისა და ხალხის პირველ ამოცანად მიაჩნია პირადი ხელისუფლების რეჟიმის მოსპობა, რომელიც თავს მოაბჯიეს კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა. რა თქმა უნდა, ბრძოლა დემოკრატიისათვის არ უნდა იქნას განხილული ეზოლირებულად ყოველდღიური ბრძოლისაგან, რომელშიც კომუნისტებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და ეცადონ ამაოლონ მასების პოლიტიკური შეგნება, რათა მოამზადონ ისინი უფრო ფართო პოლიტიკური ბრძოლებისათვის. ბრძოლა პირადი ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც გზას უხსნის ფაშიზმს, არ არის არც უბრალო, არც ადვილი საქმე. იგი მოითხოვს მუშათა კლასისა და დემოკრატიული ძალების ერთობას.

დიუკლომ შეეხო კომუნისტური პარტიის პროგრამის დებულებებს, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მორის ტორეზის მოხსენებაში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პროგრამა სახავს მასების ფართო მობილიზაციისა და პირადი ხელისუფლების რეჟიმის მოსპობისათვის მათი პოლიტიკური ბრძოლის გაჩაღების პერსპექტივებს.

დადგება დრო, თქვა მან, როცა საფრანგეთის მუშები და დემოკრატიული ძალები გამოაცხადებენ ახლანდელი ერთგული კრების დაშლის ლოზუნგს, როგორც კი არ არის საფრანგეთის წარმომადგენელი, და წამოაყენებენ ზუსტ პოლიტიკურ მოთხოვნას პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის საფუძველზე დამფუძნებელი კრების არჩევნების მოწყობის შესახებ, რომელიც ბოლოს მოუღებს პირად ხელისუფლებას და საფრანგეთის მისეცემს დემოკრატიულ კონსტიტუციას. სწორედ დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის ამ ბრძოლისაკენ მოუწოდებს ჩვენი პარტია საფრანგეთის მუშათა კლასსა და ხალხს.

უცხოეთის ქრონიკა

◆ უნგრეთიდან სოფიაში დაბრუნდა ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ტოდოროვი. უნგრეთში დელეგაციის წევრები იყვნენ მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებსა და კოოპერაციულ მეურნეობებში და გაეცნენ უნგრელ მშრომელთა წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში. დელეგაციის წევრები შეხვდნენ უნგრეთის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეებს.

◆ ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს ოქმს უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1961-65 წლებში ეკონომიური თანამშრომლობისა და საქონელგაცვლის განვითარების შესახებ.

◆ ლონდონში გამოცხადდა, რომ შეიქმნა საზოგადოება „დიდი ბრიტანეთისა და კავშირი“. როგორც საზოგადოების დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, მისი მიზანია „ხელი შეუწყოს კონტაქტების გაფართოებას საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის“.

◆ ჯაკარტაში გამოვიდა პირველი ნომერი ეკონომიკა და საზოგადოება“, რომლის გამოცემა მოაწყო ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიურმა განყოფილებამ.

◆ უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა ირანის მეჯლისს, მთავრობასა და იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც პროტესტს აცხადებს გაფიცვაში მონაწილე ირანელი მუშებისა და ირანის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელთა დახოცვის წინააღმდეგ.

◆ ბონელმა თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა ბიულეტენს „პოლიტიკ-სოციალე კორესპონდენცს“ მისცა ინტერვიუ, რომელშიც მბარს უჭერს ატლანტიკის ბლოკის ჩარჩოებში „თავდაცვითი ღონისძიებების განგრძობას. იგი მოითხოვს „მზადყოფნას უარი თქვან სუვერენიტეტზე“ „ევროპის გაერთიანების“ მიზნით და მოუწოდებს „სიმტკიცისაკენ“ მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირთან.

◆ როგორც ადნის საინფორმაციო იუწყება, 26 ივნისს დასავლეთ გერმანიის ორმა გამანადგურებელმა თვითმფრინავმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე ელრინგ-ნორდჰაუზენის რაიონში. ცნობაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის რამდენჯერმე დარღვევა დასავლეთ გერმანიის თვითმფრინავების მიერ, ეჭვი არ არის, წინასწარგანზრახული აქტია.

◆ წერილობით პასუხში ინგლისის პარლამენტის ლეიბორისტი წევრის ბენნის შეკითხვაზე კოლონიების მინისტრმა ლენოქს-ბოიდმა აღიარა, რომ მარტო 1956 წლიდან 1958 წლამდე კენიის ხელისუფლებმა სიკვდილით დასჯეს 146 აფრიკელი, რომელთაც ბრალად დასდეს, რომ „ეკუთვნოდნენ საზოგადოება მაუმაუს (ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის კენიის თავისუფლებისათვის. — რედ.)“. (საკდესი).



ქართული სიტყვის რაინდი

პ. იაშვილის დაბადების 65 წლისთავისა და მისი ნაწარმოებების სრული კრებულის გამოსვლის გამო

ჯაფარიძე

„როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა“.

„რა საჭიროა ხშირად გიხსენო
ბედი, შავბედი გარდასულ დღეთა,
როცა, ლამაზო, დარბაისელო,
ასე მორჩენილს და ნათელს გხედავ.

ხალხის სახელით დღეს მევალება
ვიყო მეტყველი შენი სიამის,
დილა ვადიდო ცისფერთვალება
და ამალება ადამიანის“.

„ოდეს ეს ფრინველ ალვადის ფრთანი
ბალახებს ეფინებიან ბალიშად,
ეს ბალახები ალვადის ფრთანი
ეფინებიან ბალიშად ბალიშად.

„ეს ბალახები ალვადის ფრთანი
**ეფინებიან ბალიშად

აირჩიე, სად გსურს ისწავლო



საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1959-60 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება წარმოების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგია და ძიება (ქართული სექტორი), 2. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (ქართული სექტორი), 3. მარგი წიაღისეულის საბადოთა დამუშავება (ქართული სექტორი), 4. სამთო ელექტრომექანიკა (ქართული სექტორი).

ენერგეტიკული ფაკულტეტი

1. ელექტროსადგურები, ჭსელები და სისტემები (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტროფიკაცია (ქართული სექტორი), 3. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი), 4. ავტომატიკა და ტელემექანიკა (ქართული და რუსული სექტორები), 5. მათემატიკური და საანგარიშო-ამოსახსნელი ხელსაწყოები და მოწყობილობანი (ქართული სექტორი).

მეტალურგიული ფაკულტეტი

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი), 2. შავი და ფერადი ლითონების სასხმელი წარმოება (ქართული სექტორი), 3. ლითონების წნეითი დამუშავება (ქართული სექტორი).

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები), 2. ავტომობილები და ტრაქტორები (ქართული სექტორი), 3. კვების წარმოებათა მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი), 4. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია (ქართული სექტორი), 5. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა (ქართული და რუსული სექტორები).

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი

1. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 2. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 3. სილიკატების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 4. სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი

1. ბოჭკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 2. სამკერვალო და ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 3. პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

სამშენებლო ფაკულტეტი

1. არქიტექტურა (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები), 3. ჰიდროტექნიკური და ჰიდროსამელიორაციო მშენებლობა (ქართული სექტორი), 4. სანიტარული ტექნიკა (ქართული სექტორი).

სატრანსპორტო ფაკულტეტი

1. გზების, ხიდებისა და აეროპორტების მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები), 2. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია (ქართული სექტორი).

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღების წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის.

სამთო-გეოლოგიური, ენერგეტიკული, მეტალურგიული, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო (გარდა არქიტექტურის სპეციალობისა) და სატრანსპორტო ფაკულტეტების ქართულ სექტორზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 2. ფიზიკა (ზეპირი), 3. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება), 4. რუსული ენა (ზეპირი შემოწმებითი გასაუბრება).

შენიშვნა: არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი მათემატიკის (წერა) ნაცვლად გამოცდებს აბარებენ ხატვასა და ხაზვაში.

ზემოაღნიშნული ფაკულტეტების რუსულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 2. ფიზიკა (ზეპირი), 3. რუსული ენა და ლიტერატურა (თხზულება), 4. უცხო ენა.

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა (ზეპირი), 2. ფიზიკა (ზეპირი), 3. ქიმია (ზეპირი), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება), 5. რუსული ენა (ზეპირი შემოწმებითი გასაუბრება).

შემსვლელებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემოაქვთ განცხადება დაწესებული ფორმის მიხედვით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება-რეკომენდაცია უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (მუშაობის პრაქტიკული სტაჟის მქონე პირთათვის) პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ და კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ კოლმეურნეთათვის; მოსწავლეთათვის — სკოლასა და მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ; 2. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); 3. ავტობიოგრაფია; 4. პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედროვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა (გასაწვევი ასაკის პირთათვის) — ადგენენ პირადად; 5. 4 ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3×4 სმ); 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნახევენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ წინა ორი წლის განმავლობაში გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა და კოლმეურნეთათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი; 7. სამედიცინო ცნობა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის (ფორმა № 286).

შენიშვნა: შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი საბუთები შემოწმებული უნდა იყოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების მიერ.

განცხადებები მიიღება 31 იულისამდე (ჩათვლით) ყოველდღე (გარდა ორშაბათისა) 12 საათიდან 18 საათამდე ინსტიტუტის სამთო კორპუსის შენობაში (საქართველოს სამხედრო გზა № 23).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 VIII-დან 20 VIII-მდე უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

კონკურსი საინსტიტუტოა სექტორების მიხედვით.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს 1959 წელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოსწავლეთა მიღებას

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლის კურსი, წარმოადგენენ დადებით დახასიათებას და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

დასწრებულ განყოფილებებზე განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, ხოლო მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაუსწრებელ განყოფილებებზე განცხადებები მიიღება 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე, მისაღები გამოცდები — 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ ან ფოსტით გაგზავნონ: 1. განცხადება, 2. დახასიათება-რეკომენდაცია, 3. განთლების მოწმობა — დედანი ან საშუალო სკოლის 8, 9, 10 კლასში გადასვლის მოწმობა, 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული, კოლმეურნეებისათვის კი — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, 5. ავტობიოგრაფია, 6. დაბადების მოწმობის პირი, 7. სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ), 8. ჯანმრთელობის მოწმობა (ფორმა № 286), 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი აბარებენ შემაღეგ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ბ) მათემატიკაში (ზეპირი), გ) რუსულ ენაში (შემოწმებითი გამოცდა).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), ბ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), გ) რუსულ ენაში (შემოწმებითი გამოცდა).

საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ პირებს საბჭოთა არმიაში ყოფნის დრო ჩაეთვლებათ როგორც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით.

ბოლნისის ტექნიკუმში მიიღებიან ქართულ და აზერბაიჯანულ სექტორებზე, წალკის ტექნიკუმში — რუსულ სექტორზე, სოხუმისა და სტალინირის ტექნიკუმებში — ქართულ და რუსულ სექტორებზე, ახალქალაქის ტექნიკუმში — სომხურ სექტორზე.

ტექნიკუმები ამზადებენ უმცროს აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარებს, ტექნიკოს-მექანიკოსებს, ელექტროტექნიკოსებს და ბუხჰალტრებს.

მიღება იწარმოებს შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში:

1. **აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) საბუხჰალტრო სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

2. **ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობის და საბუხჰალტრო სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

3. **ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ და მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) საბუხჰალტრო სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

4. **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ და ვეტერინარულ სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

5. **ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

6. **ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობის და მეფუტკრეობის სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) საბუხჰალტრო სპეციალობაზე საშუალო სკოლის ბაზაზე.

7. **ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ და მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობებზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე (ქართულ სექტორზე), ბ) აგრონომიულ სპეციალობაზე საშუალო სკოლის ბაზაზე (აზერბაიჯანულ სექტორზე).

8. **ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

9. **გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობისა და საბუხჰალტრო სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

10. **დუშეთის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი.** ა) ვეტერინარულ სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ზოოტექნიკურ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

11. **გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ და მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

12. **გორა-ბერეჟოულის (ჩოხატაურის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობის და საბუხჰალტრო სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. ბ) აგრონომიულ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

13. **დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ, მეხილეობა-მებოსტნეობის და საბუხჰალტრო სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) საბუხჰალტრო და მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობებზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

14. **დიღმის (მარტყოფი, სამგორის რაიონი) მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.** ა) მექანიზაციის სპეციალობაზე საშალაო და არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ელექტროფიკაციის სპეციალობაზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

15. **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობისა და საბუხჰალტრო სპეციალობებზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

16. **ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობისა და საბუხჰალტრო სპეციალობაზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

17. **კულაშის (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტტექნიკუმი.** ა) ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ სპეციალობებზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ვეტერინარულ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

18. **ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ და მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობებზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

19. **ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

20. **მარნეულის (სიღნაღის რაიონი) ზოოვეტტექნიკუმი.** ა) ზოოტექნიკურ სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ვეტერინარულ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

21. **მახარაძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა- მებოსტნეობისა და აგრონომიულ სპეციალობებზე არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

22. **აჩიგვარის, (გალის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობისა და საბუხჰალტრო სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. ბ) აგრონომიულ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

23. **სტალინირის ზოოვეტტექნიკუმი.** ა) ვეტერინარულ და საბუხჰალტრო სპეციალობებზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

24. **ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

25. **ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ, მეხილეობა-მებოსტნეობის და საბუხჰალტრო სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ზოოტექნიკურ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

26. **ხეთის (ხობის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

27. **წინამძღვრიანთკარის (მცხეთის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის და საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) დეკორაციული მებაღეობის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

28. **წულუკიძის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.** ა) მექანიზაციის სპეციალობაზე საშუალო და არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ელექტროფიკაციის სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

29. **წალკის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი.** ა) ვეტერინარულ სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ზოოტექნიკურ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე.

30. **ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** ა) აგრონომიულ სპეციალობაზე — საშუალო სკოლის ბაზაზე, ბ) ზოოტექნიკურ სპეციალობაზე — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებები არსებობს — **კულაშის ზოოვეტტექნიკუმთან** — ზოოტექნიკური და ვეტერინარული სპეციალობებით, **წულუკიძის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმთან** მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სპეციალობებით და **ბაკურციხის სახ.-სამ. ტექნიკუმთან** აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობით.

მეცადინეობა ყველა ტექნიკუმში დაიწყება 1 სექტემბერს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1959-60 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას:

აგრონომიულ ფაკულტეტზე. სპეციალობები: ა) აგრონომია, ბ) აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, გ) მცენარეთა დაცვა. სპეციალისტის კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი.

მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის ფაკულტეტზე. სპეციალისტის კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი.

მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე. სპეციალისტის კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე. სპეციალობები: ა) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ) საბუხჰალტრო აღრიცხვა. სპეციალისტის კვალიფიკაცია — აგრონომ-ეკონომისტი.

ხილის, ბოსტნეულის და ყურძნის ტექნოლოგიის განყოფილებაზე. სპეციალისტის კვალიფიკაცია — ინჟინერ-ტექნოლოგი.

სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. სპეციალისტის კვალიფიკაცია — სატყეო მეურნეობის ინჟინერი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე. სპეციალისტის კვალიფიკაცია — ინჟინერ-მექანიკი.

ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ საშუალო სკოლის დამთავრების ფრიადოსნის ატესტატი ან დაჯილდოებული არიან ოქროს ან ვერცხლის მედლით.

ყველა დანარჩენნი, რომელთაც სურთ ინსტიტუტში შემოსვლა (მათ შორის მედალისტები, სპეციალური სასწავლებლების ფრიადოსნები და ტექნიკუმის კურსდამთავრებული ის ფრიადოსნები, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5%-ში), აბარებენ მისაღებ გამოცდებს:

აგრონომიულ, მეხილეობა- მებოსტნეობის და მევენახეობის, მეაბრეშუმეობის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტებზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ფიზიკაში* და 3. ქიმიაში.*

სატყეო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის ფაკულტეტებზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში* (წერა და ზეპირი) და 3. ფიზიკაში.*

ხილის, ბოსტნეულის და ყურძნის ტექნოლოგიის განყოფილებაზე: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. ფიზიკა,* 3. ქიმია,* 4. მათემატიკა,* 5. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული).

შენიშვნა: ა) ის პირები, რომლებსაც სასწავლო სასწავლებლის დამთავრების საბუთში არა აქვთ ნიშნები უცხო ენაში, მისაღებ გამოცდებზე უცხო ენის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან. ბ) ვარსკვლავით აღნიშნულია საპროფილო დისციპლინები.

ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით. პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა და დადებითად გამოიჩინეს თავი წარმოებაში მუშაობის დროს, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი და საბჭოთა არმიისა და ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი. მათ შორის უპირატესობა მიეცემათ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი უმაღლეს სასწავლებელში არჩეული სპეციალობის მიხედვით.

დარჩენილ ადგილებზე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებმაც მიიღეს შედარებით მაღალი შეფასება მისაღებ გამოცდებზე მათ მიერ წარმოდგენილ დახასიათებათა გათვალისწინებით.

საშუალო სკოლის მედალისტები და ტექნიკუმებიდან 5%-ში გამოშვებული პირები სხვა თანაბარ პირობებში ჩაირიცხებიან პირველ რიგში.

კონკურსი მოეწყობა ფაკულტეტების მიხედვით.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 იულისამდე ჩათვლით. განცხადებები იმ პირთაგან, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური სასწავლებელი, მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნიათ საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების აქვთ კანონით დადგენილი სამი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ ესაჭიროება იმ პირებს, რომლებიც საშუალო სპეციალური ან ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში არანაკლებ ორი წლისა ან გამოშვებული არიან სასწავლებლიდან 5%-ში.

განცხადებებს თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. დახასიათება-რეკომენდაცია სამუშაოს უკანასკნელ ადგილიდან ინსტიტუტში შემოსასვლელად, გაცემული პარტიული, პროფესიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოთა, დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ; კოლმეურნეთათვის კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის დახასიათება-რეკომენდაცია. 2. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 5. პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედროვალდებულთათვის (ან მიწერის მოწმობა გასაწვევი ასაკის პირთათვის) — წარედგინება პირადად, 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, რომელშიც ნაჩვენები იქნება ინსტიტუტში შემოსვლის წინა ორ წელს გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა და კოლმეურნეთათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი წლების მიხედვით. ცნობა დამოწმებული უნდა იყოს რაიაღმასკომის მიერ, 7. სამედიცინო ცნობა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის (ფ. 286) შევსებული სკოლის ან უბნის ექიმის მიერ.

შენიშვნა: სამამულო ომის მონაწილენი და საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ცნობა სათანადო სამხედრო კომისარიატიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს ა. წ. 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირადღისა, მიმღებ კომისიაში — თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 29.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კადრებისა და სასწავლებლების განყოფილების ქუთაისის სამთო ტექნიკუმი

აცხადებს მიღებას 1959-1960 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

გამოცდებზე დაიშვებიან არასრული და სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

ტექნიკუმს აქვს სპეციალობები: 1. მიწისქვეშა ქვანახშირის ბუდობების დამუშავება (I და III კურსები, დასწრებული და დაუსწრებელი), 2. ლითონნარი საბადოების და ქვიშრობების დამუშავება (III კურსი დასწრებული).

განცხადება და საბუთები მიიღება 31 ივლისამდე. გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს. ტექნიკუმში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად.

ტექნიკუმს აქვს საერთო საცხოვრებელი და სასადილო. ჩარიცხულნი დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 285 მანეთიდან 487 მანეთამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტექნიკუმის დირექციას.

მისამართი: ქუთაისი, პლეხანოვის ქ. № 44.



თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს 1959-60 სასწავლო წელს მიღებას საღამოს განყოფილებაზე

შემდეგი სპეციალობებით: ფორტეპიანო, საორკესტრო ინსტრუმენტები, სიმღერა, საგუნდო დირიჟორობა, საოპერო სიმფონიური დირიჟორობა, კომპოზიცია, მუსიკისმცოდნეობა.

კონსერვატორიის საღამოს განყოფილებაზე მიიღებიან ქ. თბილისში მცხოვრებნი და მომუშავენი, საბჭოთა კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი წლოვანების განუსაზღვრელად, რომლებსაც აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება, სპეციალური მომზადება საშუალო მუსიკალური სასწავლებლის მოცულობით, მუშაობენ სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, დადებითად გამოიჩინეს თავი პრაქტიკულ მუშაობაში და წარმატებით ჩაბარეს საკონკურსო მისაღები გამოცდები.

საღამოს განყოფილებაზე შემომსვლელთაგან უპირატესი უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ იმ სპეციალობით, რომელზეც შემოდიან კონსერვატორიაში. იმ პირთა მიღების დროს, რომლებიც იმყოფებიან პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ სამუშაოზე და დიმობილიზებული არიან საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან, მხედველობაში მიღებული იქნება აგრეთვე მათი ადრინდელი საწარმოო მოღვაწეობა.

კონსერვატორიის საღამოს განყოფილებაზე მიღება ხდება პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების, სასწავლებლების ხელმძღვანელების და კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ გაცემულ დახასიათება-რეკომენდაციების საფუძველზე, მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით, საკონკურსო გადარჩევის გზით. ყველაზე ღირსეულნი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარმოებაში, მომზადებული არიან და აქვთ სათანადო ნიჭი, ამასთან პირველ რიგში მიიღებიან ის პირები, რომლებმაც სპეციალობაში მიიღეს ყველაზე მაღალი შეფასება, ხოლო ამ შეფასების ტოლობის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევათ იმ პირებს, ვისაც მაღალი შეფასება აქვს მისაღები გამოცდების დანარჩენ საგნებში.

საღამოს განყოფილებაზე შემომსვლელები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) სპეციალობაში, ბ) სოლფეჯოში—წერითი და ზეპირი, გ) მუსიკის თეორიაში — წერითი და ზეპირი (ვინც შემოდის სოლო სიმღერის სპეციალობით), დ) ჰარმონიაში — წერითი და ზეპირი (ყველა სპეციალობაზე გარდა სიმღერის სპეციალობისა), ე) მუსიკალურ ლიტერატურაში (ვინც შემოდის მუსიკისმცოდნეობის, კომპოზიციის და საოპერო-სიმფონიური დირიჟორობის სპეციალობით), ვ) ფორტეპიანოში (ვინც შემოდის სპეციალობით — მუსიკისმცოდნეობა, კომპოზიცია, საგუნდო და საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა), ზ) სსრ კავშირის ისტორიაში — ზეპირი, თ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში — თხზულების წერითი სამუშაო თემა (ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის), ი) რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერითი სამუშაო თემა (რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის).

იმათთვის, ვინც დაამთავრა სკოლა არარუსულ ენაზე და კონსერვატორიაში შემოდის რუსულ ჯგუფში, ეწყობა ზეპირი შესამოწმებელი გამოცდაც, რომლის შედეგი დადებითი შეფასების შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება კონკურსში.

მისაღები გამოცდები ეწყობა შემდეგი რიგით: გამოცდები სპეციალობაში, გამოცდები მუსიკალურ-თეორიულ საგნებში, გამოცდები ზოგადი განათლების საგნებში.

სპეციალობაში მისაღები გამოცდებისაგან არავინ არ თავისუფლდება.

მისაღები გამოცდებისაგან ზოგადი განათლების საგნებში თავისუფლდებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ საშუალო სკოლის ფრიადოსნის ატესტატი ან დაჯილდოებული არიან ზოგადი განათლების სკოლის დამთავრებისას ოქროს ან ვერცხლის მედლით სწავლაში წარჩინებისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე (განცხადებას შემომსვლელი შეავსებს არსებული № 1 ფორმით) და თან ერთვის შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება-რეკომენდაცია უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, რომელიც შემომსვლელს მოაქვს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან და კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან, 2. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 4 ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3×4 სანტ.), 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული საწარმოს ან დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნ